ხაშურის მოამბე

№12(336) 4 აპრილი, ორშაბათი, 2022 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, მოსახლეობასთან შეხვედრები დასრულდა

მუნიციპალიტეტის 77 სოფელში განსახორციელებელი პროექტები მოქალაქეებმა ხმათა უმრავლესობით შეარჩიეს.

სოფლის კრებების და კონსულტაციების უმრავლესობას პირადად ესწრებოდნენ და ადგილობრივების მოსაზრებებს ისმენდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ინიცირებული მცირე ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის, მთავრობის დადგენილებით, 10-დან 20 ათას ლარამდეა გამოყოფილი. ჯამში, ხაშურის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 904 000 ლარი დაიხარჯება.

„მადლობას ვუხდი მოქალაქეებს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ კრებებზე გამოჩენილი აქტიურობისთვის. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ფარგლებში, სოფლებში განსახორციელებელი ყველა პროექტი მათი მაქსიმალური ჩართულობით და მოქალაქეთა შორის კონსენსუსით შეირჩა. პროექტების განხორციელება უახლოეს მომავალში დაიწყება. ვგეგმავთ, მოქალაქეებთან ერთად, აქტიურად ჩავერთოთ პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგში, რათა მცირე ინფრასტრუქტურული პროექტები მაქსიმალურად პასუხობდეს ადგილობრივების მოთხოვნებს,“ - განაცხადა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ჰუმანიტარული აქცია უკრაინელთა დასახმარებლად

ჰუმანიტარული აქციის შესახებ, გადაწყვეტილება საქართველოს პრემიერ-მინისტრს ეკუთვნის, რომელიც რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულებისა და მთავრობის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ჩართულობით, ერთობლივად ხორციელდება. ჩვენი საკრებულოდან უკრაინაში გასაგზავნად ამ ეტაპზე, სამ ტონაზე მეტი ტვირთი მოგროვდა, რაც ძირითადად არამალფუჭებად საკვებს, ჰიგიენის საშუალებებს და მედიკამენტებს მოიცავს. უკრაინელი ხალხის დასახმარებლად, ჰუმანიტარულ აქციაში მონაწილეობდნენ საჯარო უწყებები, სკოლები და სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები კერძოსექტორი და ორგანიზაციები. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა მადლობა გადაუხადა აქციაში ჩართულ თითოეულ მოქალაქეს და ორგანიზაციას სამოქალაქო აქტიურობისთვის.

პროექტი გენდერულ საკითხებზე, რომელიც ხაშურში 3 წლის მანძილზე განხორციელდება

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ და დანიური დონორი ორგანიზაცია, VINFO -ს წამომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი,ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი და გენდერული საბჭოს წევრები.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ხელმძღვანელმა ელენე რუსეცკაიამ დამსწრეთ გააცნო დონორები პროექტისა ოჯახში ძალადობისა და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის საკითხებზე, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტში 3 წლის განმავლობაში განხორციელდება.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ლიპარტელიანმა ისაუბრა გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობასა და 2022 წლის სამოქმედო გეგმაზე,რომლის ერთ-ერთი მიმართულებაა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი ჩართულობა, მუნიციპალურ პროგრამათა პრიორიტეტების განსაზღვრისას გენდერული ასპექტების გათვალისწინება, სტატისტიკური კვლევები, კონკრეტული გაზომვადი შედეგების მისაღწევად.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა ხაზი გაუსვა აღმასრულებელი ხელისუფლების მზადყოფნას გენდერული თანასწორობის მისაღწევად და ისაუბრა ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებზე.

მუნიციპალიტეტის მერიის გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელმა პირმა ნინო სუხიაშვილმა ისაუბრა მერიასთან არსებული ოჯახში ძალადობის უწყებათაშორისი კომისიის მუშაობაზე.

დანიური ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მოისმინეს გენდერულ საბჭოში შემავალი სხვადასხვა უწყებების და პროფესიების წარმომადგენლების ხედვა გენდერული საბჭოს მუშაობის შესახებ. საინტერსო საუბრის ბოლოს შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ სამომავლო ნაბიჯებზე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილება № 13

2022 წლის 24 მარტი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურიული ერთეულის – ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურიული ერთეულის – ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახურის დებულება (დანართი №1).

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 აპრილიდან.

საკრებულოს თავმჯდომარის

პირველი მოადგილე ლევან გამრეკელი

დანართი 1

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურიული ერთეულის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახურის დებულება

მუხლი 1. მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური

1. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური (შემდგომ -სამსახური) არის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურის განვითარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება - დამუშავებას.

2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების, ამ დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივ აქტების შესაბამისად.

3. სამსახურის საშტატო განრიგი და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება მერიის საშტატო ნუსხით.

მუხლი 2. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური შედგება სამსახურის ხელმძღვანელისა და სამსახურის მოსამსახურეებისაგან.

2. სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის ხელმძღვანელი, რომლის უფლებამოსილებები განისაზღვრება მერიის დებულებით და სამსახურის ხელმძღვანელის სამუშაოთა აღწერილობით. ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში, მერის ბრძანებით სამსახურის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს სამსახურის ერთ-ერთი მოხელე.

3. სამსახურის მოხელეების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და მერიის დებულებით. სამსახურის მოხელეების ფუნქციები განისაზღვრება შესაბამისი სამუშაოთა აღწერილობებით.

4. სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლებისა და მათი კარიერული განვითერების წესები განისაზღვრება მერიის დებულებით, „საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის შესაბამისად.

მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები

სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიების, პროგრამების და პროექტების მომზადებას, მათ განხორციელების მონიტორინგს და შეფასებას;

ბ) ინფრასტრუქტურის განვითარების დაგეგმვისათვის სათანადო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებას;

გ) წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით ინვესტიციების დაგეგმვის, ინვესტორებთან თანამშრომლობის, შესაბამისი საინვესტიციო პროგრამებისა და პროექტების მომზადების საკითხებზე;

დ) ინფრასტრუქტურის განვითარების მუნიციპალური პროგრამების განხორციელების მონიტორინგს;

ე) მუნიციპალიტეტის დაკვეთით განხორციელებული ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის კოორდინაციას;

ვ) წინადადებების და საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას მუნიციპალიტეტის მონაწილეობით საწარმოების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხებზე;

ზ) წინადადებების მომზადებას მუნიციპალური პროექტების განხორციელების მიზნით კერძო ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით;

თ) საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას მუნიციპალიტეტის მონაწილეობით საინვესტიციო პროექტების შესადგენად;

ი) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო ინვესტიციების ხელშეწყობისათვის წინადადებების მომზადებას;

კ) მუნიციპალური პროექტების თაობაზე კერძო ინვესტორებთან, მუნიციპალური განვითარების ფონდთან და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობების წარმართვას;

ლ) მუნიციპალიტეტის მონაწილეობით საინვესტიციო პროექტების განხორციელების ზედამხედველობას;

მ) კეთილმოწყობის საქმიანობის განხორციელებას;

ნ) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5,6,7)

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

აქედანვე ვუყურებდი გენ. მაზნიაშვილის მეთაურობით ჩვენი ჯარის ნაწილებს, რომ იხევდნენ მტკვრის მარცხენა ნაპირით, როცა ესენი მიუახლოვდნენ ავჭალას, ვნახე: ამ ჯარმა გაშალა შარი (სამხედრო შენაერთის საბრძოლო წყობა იერიშის დაწყებისას – გ.ყ.),ჩამოხსნა ზარბაზნები და აგრეთვე ჯავშნოსნების საშუალებით შეუტია მტერს.

დაახლოებით შუადღეს, 25 თებერვალს, მოვიდა ჩემთან ცხენდაცხენ გენ. ზაქარიაძე: მითხრა, რომ მცხეთაში დაიშალა ჯარიო. მოვედი და ვნახე სადგურზე და მიდამოებში დაშლილი არა ჯარი, არამედ გვარდია.

მივმართე იქ მყოფ ვ. ჯუღელს და მის შტაბს, მოეწესრიგებინათ გვარდია.

ჯარის ნაწილებს, ტაბახმელიდან რომ იხევდნენ, ამ დროს ეჭირათ პოზიცია მცხეთის წინ.

ვ. ჯუღელმა და მისმა შტაბმა სცადეს, მაგრამ ვერაფერი გაარიგეს. მითხრეს, მხოლოდ გორში შეიძლება მათი მოწესრიგებაო.

შეჩერება მცხეთაში შეუძლებელი იყო, რადგანაც გვარდიის დაშლის წყალობით, მტერი გავიდოდა პირდაპირ მუხრანს. ესე იგი, მოგვექცეოდა ჩვენს ზურგში.

თანახმად ჩვენი ბრძანებისა, არტილერია მეორე დღეს 26 თებერვალს, გავგზავნე გორისკენ მუხრანით, ჯარი კი ძეგვი-ახალქალაქით. მჯეროდა, რომ გვარდიას მოაწესრიგებენ გორში იუნკერები ჩავსვი ჩემს მატარებელში მცხეთის და გორს შუა, მგონი გრაკალში ან კასპში.

როცა მივედი გორში, გამოირკვა რომ ვ. ჯუღელმა და მისმა შტაბმა ვერ შეძლეს გვარდიის შეჩერება და მისი მოწესრიგება; გაფანტული მიდიოდნენ ხაშურისაკენ.

გორში მტერი მოგვიახლოვდა. დავრჩი, მანამ კარგად არ დაბინდდა. ჩემი მატარებლის ირგვლივ ვარდებოდა მტრის ყუმბარები, დავძარი ჩემი მატარებელი იმის შემდეგ, როცა ჩვენი ჯარის ზურგმცველის შარი გენ. სუმბათაშვილის მეთაურობით გამოჩნდა მატარებელთან...

იქვე სწერს დეზერტირებზე. ეს დეზერტირები იყვნენ მისი საყვარელი გვარდიელები... „არავითარი მზადება ომის გასაგრძელებლად. მითხრეს უღელტეხილზე გავმაგრდებითო (ვინ უთხრა? ქუთაისამდე ეს კაცი არ მინახავს, ჩემი შენიშვნა), მთის გზები დაკავებული გვაქვსო და სხ. ავად ვიყავი, მაინც შევჯექი ცხენზე და წავედი ამ სიმაგრეების დასათვალიერებლად, მივედი უღელტეხილამდე. არსად არავითარი სიმაგრე, არც თხრილი, არც კაცი, არავითარი წინასწარი ზომა, მხოლოდ დეზერტირობა ურიცხვი.”

ვადასტურებ, რომ აქ იყო პოზიცია ამორჩეული და გამაგრებული ინჟინერ-პოლკოვნიკ თაყაიშვილის მიერ, მაგრამ მთებზე და არა გზებზე.

ეს თხრილები, ხაშურთან ბრძოლის შემდეგ, დაიჭირა ჩვენმა ზურგმცველმა გენ. მაზნიაშვილის მეთაურობით, გვარდიის წიფაში გაქცევის შემდეგ.

რადგან გორში გვარდიის ბატალიონები ვერ მოაწესრიგეს, ვ. ჯუღელმა მთხოვა, რომ ხაშურში მოვაწესრიგებთო.

ხაშურში მათ მივეცი თითქმის 3 დღე. ჯარს მარტოდ ეჭირა პოზიციები ხაშურის წინ.

ხაშურთან ბრძოლისათვის გვარდიას დავუნიშნე დაეწყო შეტევა 6 საათზე, დაიძრნენ 8-9 საათს; უნდა მოევლოთ მტრის მარჯვენა ფრთა. ჯარის გადავიდა შეტევაზე პირდაპირ, მუხლამდე თოვლში გაშლილ ხაშურის მინდორში. ასე თუ ისე ჩვენმა შეტევამ გაიმარჯვა: საღამოზე ბოლშევიკები იხევდნენ, ზარბაზნები დაყარეს.

შტაბს უკვე ეგონა, რომ დილით დავიწყებთ დევნას, მოხდა უცნაური მაგრამ ჩვეულებრივი გვარდიელებისათვის, მოვლენა.

დაღამდე თუ არა, ნ. ჟორდანიას საყვარელი გვარდია თავისი ნებით მოიხსნა პოზიციიდან და გადავიდა სურამის ქედის იქით, წიფაში.

დილით მტერი გამოჩნდა უღელტეხილზე, ძველი რკინიგზის მიმართულებით და მოექცა ჩვენს ჯარს ზურგში, რომელსაც ეჭირა პოზიცია წინ. იძულებული ვიყავით დაგვეტოვებინა სურამის ქედი.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ მტერს, რომელმაც გადალახა სურამის ქედი ძველი რკინიგზით, გაუმკლავდნენ მე-7 პოლკის ნაწილები პოლკოვნიკნიკ იასე ვაჩნაძისა. ამ გარემოებამ მისცა საშუალება მაზნიაშვილის ნაწილებს დაეხიათ გვირაბით.”

რევაზ გაბაშვილიც, გიორგი კვინიტაძის მსგავსად, მკაცრად აკრიტიკებს ნ. ჟორდანიას. მის მოგონებაში „რაც მახსოვს”, საინტერესო დეტალებს ვხვდებით ხაშურის მიდამოებში 1921 წლის თებერვალ-მარტში განვითარებული მოვლენების შესახებ.

რევაზ გაბაშვილი იუნკრებთან ერთად ამ დროს „გორის გამოსწვრივ მთაზედ” იდგა. იგი გორის სადგურზე, სადაც სამხედრო შტაბი იყო მოთავსებული, მთავარსარდალ გენერალ კვინიტაძისაგან დებულობს ბრ-

(გაგრძელება IV გვერდზე)

- კოვიდ - 19

ვირუსის დადებითობის მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა, თუმცა, ეს არ გვაძლევს დამშვიდების უფლებას

ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებული პანდემიური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას გვიზიარებს ხაშურის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი **დავით ჩიქოვანი.**

დღეისათვის, ხაშურის მუნიციპალიტეტში, მდგომარეობა, შედარებით, გაუმჯობესებულია,რაოდენობრივად საკმარისად მოიკლო კოვიდ ვირუსის დადებითობის მაჩვენებელმა, დღის განმავლობაში შესაძლებელია მხოლოდ მაქსიმუმ 5 - 6 შემთხვევა დაფიქსირდეს,არის დღეები,როდესაც ეს მონაცემიც არ არის. დღევანდელი დღის მაგალითით,მხოლოდ ერთი შემთხვევაა ჯერ-ჯერობით დაფიქსირებული (ინტერვიუ ჩაწერილია 28 მარტს). კოვიდ ვირუსით ინფიცირებული აქტიური შემთხვევების საერთო რაოდენობაც შემცირდა, 30 შემთხვევამდე ჩამოვიდა ხაშურის რაიონში. ზოგადად, ეს მაჩვენებელი 30-40 შემთხვევის ფარგლებში მერყეობს. იმატებს გამოჯანმრთელებულთა რიცხვიც. როგორც ცნობილია, 5-7 დღის შემდეგ გამოჯანმრთელებულად ითვლება უსიმპტომო ფორმის პაციენტი, 7 დღის შემდეგ კი, გადამდები აღარ არის ყველა სიმპტომიანი პაციენტიც. აღარ არის დატვირთული კოვიდ საწოლებიც. ხაშურის საავადმყოფო „გორმედი“ გადავიდა ჩვეულებრივ სტაციონარულ მომსახურებაზე. მხოლოდ ერთი განყოფილებაა, რომელიც ემსახურება კოვიდ პაციენტებს. შესაბამისად, შემცირებულია სტაციონარული მომსახურების საჭიროების მქონე პაციენტთა რაოდენობაც. კოვიდ ვირუსით ინფიცირების შემთხვევების რაოდენობის ასეთი მკვეთრი კლება, შესაძლოა,გამოწვეული იყოს იმ გარემოებითაც,რომ მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა ბოლო პერიოდში გადაიტანა კოვიდ ვირუსი, მაშინ, როდესაც ელვისებურად მოხდა ომიკრონის გავრცელება.

ჩვენი სამსახური კვლავ აგრძელებს გეგმიურ ტესტირებებს, თუმცა, გარკვეული ცვლილებებით. გეგმიური სწრაფი ტესტირებები ტარდება მხოლოდ სკოლებში, საბავშვო ბაღებში, დიალიზის ცენტრში, გეგმიურად სახელმწიფო აღარ აფინანსებს პისიარ ტესტირებას. ყველა გეგმიური სწრაფი ტესტირება კეთდება 7 დღეში ერთჯერ.

რაც შეეხება მოსახლეობის ვაქცინაციას... აცრები მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა, მონეტარული პოლიტიკის შედეგად, შემცირებულ ვაქინაციის პირობებშიც, უმეტესობა იმუნიზაციის მსურველებისა განეკუთვნება სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ ასაკობრივ კატეგორიის მოსახლეობას.

რაც შეეხება რეკომენდაციებს... ცნობილია,რომ გარე სივრცეში მოიხსნა პირბადის ტარების ვალდებულება, თითქმის ყველა შეზღუდვები გაუქმებულია გარდა ერთისა, დახურულ სივრცეში პირბადის ტარებისა.



აქედან გამომდინარე, ისევ და ისევ მოვუწოდებ მოსახლეობას, რომ პირბადე არის ერთ-ერთი ყველაზე კარგი დამცველი, ნუ გავთამამდებით, არ არის წასული ეს ინფექცია სრულად ჩვენგან, არც მსოფლიოდან. ისეთი მზაკვარი ვირუსია, კაცმა არ იცის, რას გვიმზადებს. ამიტომ მაქსიმალურად ეცადეთ, აატაროთ პირბადე დახურულ სივრცეში და დაიცვათ დისტანცია.

თ. ახალკაცი.

- სოფელი -

ხარაზიშვილების ოჯახი მომავალს ოპტიმისტურად უყურებს

ნაცარგორა. ერთ-ერთი სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტში. შიდა ქართლის ვაკეზე. სოფელში 119 კომლი და 314 ადამიანი ცხოვრობს. სოფელ ნაცარგორაში ცხოვრობს ქალბატონი მაია ხარაზიშვილი, რომელსაც ჰყავს სამი შვილი და შვილიშვილები. მაია ხარაზიშვილი აქტიური, შრომისმოყვარე და ინიციატივიანი ქალბატონია, რომელიც დაუღალავად იღვწის იმისათვის, რომ მეუღლისაგან დანატოვარი ძლიერი ოჯახი, რომელიც სოფლის მეურნეობას აწარმოებს, უფრო მეტად გააძლიეროს, განავითაროს და ტრადიციები გააგრძელოს. ქალბატონი მაია საკუთარ გამოცდილებაზე და სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ ქალიშვილთან ბაბულია (ბუკა) ხარაზიშვილთან ერთად გვეწვია და სასიამოვნოდ გაოცებულები დავრჩით მათი შემართებით, ენერგიულობითა და შრომისმოყვარეობით.

-ჩემი მეუღლე, გელა ხარაზიშვილი, რომელიც სოფლის მეურნეობის წარმოებით იყო დაინტერესებული და დაკავებული,სამწუხაროდ,2 წლის წინ გარდაიცვალა. ამ ეტაპზე, დიდი სურვილი მაქვს, რომ ჩემი საქმე სოფელში არ გაჩერდეს, გავაგრძელო მის მიერ დაწყებული სოფლის მეურნეობის წარმოება. და, რა თქმა უნდა, უფრო გავაძლიერო და გავაფართოვო. საამისოდ, მაქვს მეუღლის დანატოვარი ტექნიკა, ვფლობ საკმარისი რაოდენობით მიწებს, უძრავ ქონებას. მყავს სამი შვილი ნიკა, კახა და ბაბულია(ბუკა) ხარაზიშვილები და შვილიშვილები, რომლებიც აქტიურად მეხმარებიან სოფლის მეურნეობის წარმოებისას და ვგეგმავ, რომ მათი დახმარებით, გავაფართოვო ჩვენი წარმოება. განსაკუთრებით აქტიურად მეხმარებიან საქმიანობაში ჩემი ქალიშვილი და სიძე. ისინი გამოხატავენ ინტერესს სოფლის მეურნეობისადმი დ მაქსიმალურად მიწევენ დახმარებასა და თანადგომას.

მაქვს საკუთრებაში სამი ჰექტარი მიწის ნაკვეთი, მძიმე ტექნიკა: 3 ტრაქტორი და სატვირთო მანქანა. გვაქვს ორი წისქვილი. ეს ყველაფერი ჩემი მეუღლის დაუღალავი შრომის შედეგადაა შეძენილი, რომელიც დღენიადაგ შრომობდა, ქმნიდა, აწარმოებდა. ცდილობდა, რომ ყველა სახის ტექნიკა ჰქონოდა,რაც საშუალებას მისცემდა თავად დაემუშავებინა ოჯახის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები.... ამ ეტაპზე,როდესაც მეუღლე ოჯახის გვერდით აღარ არის, დიდი სურვილი გვაქვს მისი ტრადიციები გავაგრძელოთ,მის მიერ წარმოებული სოფლის მეურნეობა კვლავ ვაწარმოოთ, მეტად გავაძლიეროთ და გავაფართოვოთ კიდეც... საამისოდ მრავალი გეგმა და ფიქრი გვაქვს, რომლებიც რეალურად განხორციელებადია. გვაქვს შესაბამისი რაოდენობის მიწის ნაკვეთები, მძიმე ტექნიკა...

ხარაზიშვილების ოჯახის სამომავლო გეგმებსა და ფიქრებზე ქალბატონი მაია ხარაზიშვილის ქალიშვილი ბაბულია (ბუკა) ხარაზიშვილიც გვესაუბრა:

-ამჟამად ვთესავთ და მოგვყავს სოფლის მეურნეობის პროდუქტები, რომლებიც საკმარია ჩვენი ოჯახისათვის, მაგრამ გვინდა, რომ გავაფართოვოთ წარმოება, დავასაქმოთ სოფლის მკვიდრი მოსახლეობა და გავზარდოთ ჩვენს მიერ ნაწარმოები პროდუქტის რეალიზება.

მცირე ხნის წინ, სოფლის მეურნეობის გაფართოება დავიწყეთ მეფრინველეობით. მარტის ბოლოს ველოდებით 1500 - მდე ქათმის წიწილს. გავიარეთ ტერენინგები ჩვენი ძალებით იმის შესახებ, როგორ უნდა მოვუაროთ, როგორ უნდა გავზარდოთ წიწილი. გვინდა ბაზარზე რეალიზებაში გავუშვათ კვერცხი და ნედლეული,ვარიკების სახით. ასევე გვყავს კურდღლებიც. 10 სული მსხვილფეხა საქონელი, ვაწარმოებთ რძის პროდუქტებს: რძეს. ყველს...

ჩავერთეთ სოფლის განვითარების პროგრამაში. ფაქტობრივად სტარტი გვაქვს, ვეცნობით დეტალებს და ვგეგმავთ ვისარგებლოთ სოფლის განვითარების სახელმწიფო პროგრამით, რომლის ფარგლებში, გადაწყვეტილი გვაქვს ავაშენოთ მსხვილფეხა საქონლისათვის დიდი ზომის სადგომი, ფერმა, რომელიც გათვლილი იქნება 20-30 სული საქონლისათვის. ასევე, გვინდა, ფერმაში შესაბამისი სადგომი გათვლილი იყოს ქათმებისათვისაც. ამისათვის დაწყებული გვაქვს მუშაობა შესაბამის პროექტზე, რომელსაც წარვადგენთ სოფლის განვითარების პროექტის ფარგლებში და შევეცდებით, მოვიპოვოთ შესაბამისი ფინანსური დახმარება, რაც ჩვენთვის იქნება სახელმწიფოს მხრიდან

უმნიშვნელოვანესი თანადგომა და დახმარება.

პარალელურად, გათვლილი გვაქვს შევიძინოთ, იმავე პროგრამის ფარგლებში, საჩირი აპარატი,ვინაიდან სოფელში სეზონზე უამრავი ხილი ფუჭდება და ლპება რეალიზების გარეშე... ქლიავი, ვაშლი და სურვილი გვაქვს ვაწარმოოთ ჩირებიც, რა დროსაც ასევე გათვალისწინებული იქნება სოფლის მოსახლეობის დასაქმებაც. სოფლის მკვიდრთ მიეცემათ შანსი ადგილზე დასაქმების, ისე, რომ დღის პირველ ნახევარში იმუშაონ, დღის მეორე ნახევარში კი ოჯახებს მიხედონ...

იმედია, ხარაზიშვილების ოჯახი ყველა ჩანაფიქრის რეალიზებას მოახდენენ და ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობაში თავის წვლილსაც შეიტანენ.

თ. ახალკაცი

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება)

ძანებას: „როგორც კი მთელი ფრონტი ხაშურამდე გადაიწევს, მოგივათ ბრძანება - უკან დაიხიოთ, ეხლა კი უთხარით იქ მაღლა, მანამდე ფეხი არ მოიცვალონ.”

რ. გაბაშვილი ბრუნდება მაღლობზე და იქ გამგარებულ იუნკერების მთავარსარდლის ბრძანებას გადასცემს. შემდეგ წერს:

„ჟორდანიას არაფერი დაუნახავს, გარდა „დაბნეული შტაბისა და ვაგონებისა... მის კუნჭულში” (?), არაფერი გაუგონია, არც „რევოლუციის პირველი სალდათის”, ვალოდია გოგუაძეს ზარბაზნების ქექვისა და ... „ავადმყოფი”, ცხენით წასული უღელტეხილის (სურამის – თ.ლ.) სიმაგრეების დასათვალიერებლად. იქაც „არც სიმაგრე, არც თხრილი, არც კაცი, არავითარი წინასწარი ზომა” არ უნახავს, გარდა დეზერტირებისა და, წასული ავადმყოფი ცხენით (?), ქუთაისში და მერე ბათუმში.

ან როგორ უნდა დაენახა, ან რა გაეგონა მართლა ავადმყოფს, წინასწარ გაქცეულს, როცა ამის შემდგ იყო, ღენერალი გ. თაყაიშვილი რომ უღელტეხილს ამაგრებდა. თხრილები და სიმაგრენი კი არა, ციხე-გალავნები რომ აეშენებინათ, როცა კაცს არ უნდა, „რიყეზედ ქვას ვერ დაინახავსო” და იმას კი არ ამბობს, რომ ეს მისი დანახული „დეზერტირები” – სულ გვარდიელები იყვნენ და არავითარ სიმაგრეს გროშის ფასი არა აქვს, თუ ადამიანი არა მაგრობს: „ვაუკაცსა გული რკინისა და ფარი თუნდა ხისაო.” მთელი ომის განმავლობაში კი, 1921 წელს, ხუთასი ქართველიც არ დახოცილა ათასიც რომ დახოცილიყო, საქართველო იმ დროს გადარჩებოდა, რადგან ტყუილად არის ნათქვამი: „როცა სამშობლოსათვის კვდებიან მამულიშვილნი, მაშინ სამშობლო არა კვდება”–ო. სოფელ ოსიაურთან დიდი ბრძოლაც მოხდა, საცა 120 ჯარისკაცი მოკვდა და დაჭრილებს ჩვენი წითელი ჯვრის ექიმები, „სანიტრები” და მოწყალების დანი, ქალბატონ ელენე ჩიკვაიძის მეთაურობით, – ვერ ასდიოდნენ, ფრონტის უკან, ხაშურში... თუ მკითხველი (სოციალ-დემოკრატი-თ.ლ.) არ არის ალბათ ეხსომება, რომ ხაშური, ოსიაური და სხვა უღელტეხილის წინაა – არა „დიალექტიკურად”, არამედ გეოგრაფიულად.”

რევაზ გაბაშვილი მოგონებებში სათანადო ადგილს უთმობს ოსიაურთან გამართულ ბრძოლას. ამ შემთხვევაშიც აკრიტიკებს ნ. ჟორდანიას. „მერე იცით, რა მოხდა ოსიაურ-ხაშურში?, - წერს რ. გაბაშვილი მთავარსარდლის ბრძანებით, განთიადისას, ჯარი მარჯვენა მხრიდან და გვარდია – მარცხენა მხრიდან უნდა გადასულიყვნენ შეტევაზე (პირველად მთელი ომის მსვლელობაში), ოსიაურთან დაბანაკებული 3000 ბოლშევიკის წინააღმდეგ. ჯარმა შეუტია თავის დროზე, დიდი ზიანიც მიაყენა, თვითონაც დაზარალდა (აქ ყველაზედ მეტი დაიხოცა და დაიჭრა ჩვენი) და ბოლშევიკები უკვე იარაღს ჰყრიდნენ (მერე გავიგეთ, თბილისის ევაკუაციასაც კი აპირებდნენ, პირველი დეპეშები რომ მოსვლიათ), მაგრამ გვარდია, იმის მაგიერ, რომ შეტევაზე გადასულიყო, ორი საათის... დაგვიანებით, – მოიხსნა და უკან წავიდა – („წვიმა მოდის, ცივა და რავა დავდგებითო”?!”): ბოლშევიკებმა გული მოიცეს და კონტრ-იერიშზე გადმოვიდნენ. აი, ამ დროს დაზარალდნენ ყველაზედ მეტად ჩვენები.

ჩვენ, იუნკერები, ხაშურის სადგურზე გამწკრივებულნი მთავარსარდლის ერთ-ერთ „რეზერვში”, თვალით რომ ვხედავდით გამოქცევაში ყოჩაღი გვარდიელების ჯგუფს, – მე მივმართე კვინიტაძეს: „გვიბრძანეთ დავხოცოთ, შევაჩეროთ დეზერტირები!” ღენერალმა მარტო შემომიბღვირა და... მხოლოდ პარიზში ამიხსნა ეს სიჩუმე: „სამოქალაქო ომს ხომ ვერ გავაჩაღებდით, ომის დროსა-ო”.

ჟორდანია ამ დროს უკვე ქუთაისში და იქნებ ბათუმშიც ბრძანდებოდა, ან რა უნდა დაენახა, ან გაეგონა?

პოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე საინტერესოდ მოგვითხრობს ხაშურთან დატრიალებულ მოვლენებზე.

„მთავარსარდალს სწადდა ძალები შეეჯგუფებინა მტრის მოქმედების მთავარ მიმართულებაზე. გადაენაცვლა მცხეთის და ხაშურის რაიონებში და გადასულიყო იქიდან შეტევაზე მტრის ცოცხალი ძალების მოსასპობად. ნაშუადღევს, შტაბი ადგილის გადანაცვლებისათვის ემზადებოდა; ღამის 24 საათზე სპეციალური, მთავარსარდლის მატარებლით მცხეთისკენ ან ხაშურისკენ უნდა გავმგზავრებულიყავით. სათანადო განკარგულებები მომავალი გადაჯგუფებისათვის გადეცათ თბილისის ფრონტზე მოქმედ ჯარსაც...

ჯართა გადაჯგუფება გრძელდებოდა. მტერი არ აგვდევნებია. ჯარები მშვიდად მოემართებოდნენ. ცნობები, ვითომც მარცხენა და მარჯვენა მხრიდან მტრის კავალერია მოიწევდა, ყალბი გამოდგა. დახვევისას ჩვენ ნაწილებს ბრძოლები არ უწარმოებია. შეიძლება თითო ოროლა ცხენოსანი თუ შეამჩნიეს, თორემ დიდი ერთეული უბრძოლველად როგორ დატოვებდა უკანდამხევ ჯარს.

მცხეთასთან მთავარსარდალმა არ მოისურვა პოზიციების დაკავება. გადაწყვიტა დაეხია ხაშურამდის და იქ უკეთეს მოგერიებით პირობებში გამაგრებულიყო სურამის უღელტეხილზედ, საიდანაც ხელსაყრელი პირობები იყო მარჯვენა ფრთის მტკვარზე დაყრდნობით. მცხეთიდან ხაშურში მიმავალი მთავარსარდლის მატარებელი გორში გაჩერდა. აქ შევამოწმეთ დამხევი ჯარის ვინაობა. აღმოჩნდა, რომ ჯარი იხევდა წესიერად...

მთავარსარდლის მატარებელი ხაშურში გაჩერდა. ჩვენმა ჯარმა დაიკავა პოზიციები ხაშურსა და სურამის რაიონში. ამასობაში მოვიდა ორი ქვეითი პოლკი თავისი არტილერიით, რომლებიც გარდა არდაგანსა, მოვხსენით ოსმალეთის საზღვარს იმ იმედით, რომ ოსმალები არ შემოგვიტევდნენ. მეორე დღეს ჯარები უკუიერიშზე გადადიოდნენ მარჯვენა ფრთის მტკვრის მარცხენა ნაპირზე და მარცხენასას კავკასიის მთებზე დაყრდნობით. პირობები შეტევისათვის მეტად ხელსაყრელი იყო.

ვმორიგეობდი შტაბში. ვიჯექი მთავარსარდლის სალონში ტელეფონთან. ნაშუაღამევს დარეკა ტელეფონმა. ცნობა მივიღე. ლაპარაკობდა გენ. კონიაშვილი, რომელიც გენ. ჯიჯიხიასთან ერთად გვარდიაში მსახურობდა. მთხოვა მომეხსენებინა მთავარსარდლისათვის, რომ გვარდიელებმა დაადგინეს არ შეუტიონ, შტაბი და ჯარი იშლება და მათზე ზეგავლენის საშუალება არა მაქვსო. მოახსენეთ ეს მთავარსარდალს და მეც ამ წუთშივე მოვდივარ მასთან პირადად მოსახსენებლადო. მაშინათვე გავაღვიძე შტაბის უფროსი და მთავარსარდალი და მოვახსენე ტელეფონით მიღებული ცნობა. ძნელი აღსაწერია მთავარსარდლის აღელვება. ამ მოულოდნელმა ცნობამ მოთმინებიდან გამოიყვანა. იმდენი შრომა ჩატარდა უკუიერიშის მოსამზადებლად. აქ შესანიშნავი გარემოცვის პირობებში გამარჯვება ნათელი იყო, რის შემდეგ თბილისის უკან დაბრუნებას ვერაფერი ვერ შეაჩერებდა. გვარდიელების სამარცხვინო გაქცევამ ჩაშალა ბრძოლის ჩატარების შესაძლებლობა. სწორედ მათ უნდა მოეხდინათ მთავარი დარტყმა დაჯგუფების მარცხენა მხრიდან.

ცოტა ხნის შემდეგ, გენ. ზაქარიაძე თავის ვაგონში გავიდა, გენ. კონიაშვილი ჯერ არ მოსულიყო. მთავარსარდალი მეტად ღელავდა. „აბა, თევზაძე, თავის მოკვლაღა დამრჩენია, არა? – მომმართა სევდიანი ხმით. შევწუხდი ძალიან. ვგრძნობდი რა აზრები უტრიალებდა ამ დროს თავში სარდალს. ის ხომ სამი წლის განმავლობაში უძლეველად მართავდა საქართველოს თავდაცვის საქმეს. ზედიზედ მოიგო 3 ომი სამ მეზობელთან, – სომხებთან, თურქებთან და ბოლშევიკებთან, – ახლა კი დამარცხება ელის. ვცადე დამშვიდება. გვაქვს კიდევ ხელსაყრელი მოგერიებითი პოზიციები, ჯერ ყველაფერი არ არის დაკარგული, გამარჯვების იმედი არ უნდა დავკარგოთ-მეთქი, მაგრამ ამის მიღწევა ადვილი აღარ იყო. შავი ზღვის პირდაპირ ასეთი ხელსაყრელი პოზიციები აღარ არსებობდა.

შემოვიდა გენ. კონიაშვილი და დაიწყო სახალხო გვარდიის გინება, რომლის შექმნაზედ ეს ინტრიგანი 1917 წლიდან მოღვაწეობდა...

არ იყო სხვა გამოსავალი: საჭირო შეიქნა ჯარების სამტრედიისაკენ დახევა, სადაც ჯვარედინდებოდნენ მამისონის უღელტეხილისა და გაგრა-სოხუმი-ოჩამჩირის გზები. მტერი აქტივობას არ იჩენდა, ისე რომ ჯარები შეუფერხებლივ იხევდნენ დასავლეთისაკენ.

...მთავარსარდლის მატარებელმა მდ. ძირულასაკენ გადაინაცვლა, სადაც უნდა დახვედროდნენ ბოლშევიკთა ჯარებს. ოღონდ სურამის ქედის დასავლეთით ნიადაგი არამარტო მთიანი იყო, ხშირი ტყეებითაც იყო დაფარული, ეს აძნელებდა ნაწილთა შორის კავშირის გაბმას და მოითხოვდა დიდი ძალებს, რაც ჩვენს განკარგულებაში არ იყო. მით უმეტეს, რომ პრეზიდენტის განკარგულებით გვარდია დაშლილი იქნა ხაშურის რაიონში უკუიერიშის ბრძანების შეუსრულებლობის გამო. სურამის მთებიდან გვარდიის დაშლილი ნაწილები უწესრიგოდ მიემართებოდნენ დასავლეთისაკენ. მტერმა მდევარი ნაწილები აამოქმედა აღმოსავლეთიდან სურამის უღელტეხილიდან და ცხენოსანი ნაწილებით ბორჯომ-ახალციხე, ხულო-ბათუმის მიმართულებით. ეს ნიშნავს ჩვენი მარჯვენა ფრთის შემოვლას და ზურგში მოქცევას. მთავარსარდალმა გადაწყვიტა დაეკავებინა პოზიციები სამტრედიასთან, რიონზე დაყრდნობით.”

ნიკოლოზ მათიკაშვილი და მიხეილ კვალიაშვილი ხაშურის სადგურზე იუნკერთა სულიერ განწყობილებაზე და მათ მიერ გამართულ ცეკვა-სიმღერებზე მოგვითხრობენ. „...ჩვენ სულისკვეთებაზე ვერავითარი სიძნელე ვერ მოქმედებდა და ვერ გვასუსტებდა. სიკვდილზე არც არავის გვიფიქრია და არც შეგვშინებია” – წერენ ისინი.

ხაშურში იუნკერებს „...ლიანდაგის, სადგურის გარემოსა და მთავარსარდლის მატარებლის დაცვა“ დაავალეს.

„აქ (ხაშურში - თ.ლ.) მთავარსარდლის მატარებელი იდგა და ჯარებს ახალი შეტევისათვის ამზადებდა. მტკვრის იქით ნაპირიდან ტყვიამფრქვევის სროლის ხმა მოდიოდა. ჩვენ რკინიგზის სადგურსა და მატარებელს ვიცავდით. სათანადო რიცხვის დარაჯების განწესების შემდეგ დანარჩენებმა კონცერტები გავმართეთ. ჩვენთვის ეს არც უთხოვნია და არც აუკრძალავს. რა ვიცოდით, რომ სწორედ ამ დროს ჩვენი სათაყვანებელი მთავარსარდალი, ძველი ცნობილი მხედართმთავართა დარი, ახლადფეხადგმულ საქართველოს სამი ომი რომ მოუგო ცხოვრებაში, უმძიმეს ტრაგედიას განიცდიდა”.

ავტორებს აქ მოჰყავთ ვალერიან თევზაძის მოგონებიდან ის ადგილი, რომელიც ზემოთ იყო მოტანილი. შემდეგ კი წერენ: „მაგრამ ამის (მტერზე გამარჯვების – თ.ლ.) მიღწევა ადვილი არ იყო. შავი ზღვის პირამდე ასეთი ხელსაყრელი პოზიციები აღარსად იყო. ეს ბატონ თევზაძეზე უკეთესად იცოდა და ეს იყო, რომ მთავარსარდლის გულს ჯოჯოხეთური ტანჯვით ავსებდა.

რა ვიცოდით, რომ სწორედ ამ დროს, ასეთი ტრაღიკული და დაჭიმული მომენტი იყო მთავარსარდლის გულში, ჩვენ კი ახალგაზრდული უდარდელობით კონცერტი გვქონდა გამართული ცეკვა-სიმღერებით მისი ფანჯრების წინ. უსათუოდ ესმოდა ეს ყველაფერი და იქნებ ამ მოვლენამ შეიტანა მის გუნებაში ცოტაოდენი დამშვიდება და თვითმკვლელობისაგან თავი ააღებინა.

ნ. მათიკაშვილისა და მ. კვალიაშვილის მიხედვით „გვარდიელთა ღალატის შედეგად ხაშურიდან განზრახული უკუიერიში ვერ განხორციელდა და ერთეულები ბათუმისაკენ დაიძრნენ.”

საიუნკერო სკოლის ხელმძღვანელი გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე: „გადაწყვეტილი იყო მოეწყოთ და გაემაგრებინათ ხაშურში ჩვენი ჯარის დანარჩენი ნაწილები, უკან აღარ დაეხიათ და უკიდურეს შემთხვევაში ებრძოლათ სურამის გადასასვლელზე უკანასკნელ შესაძლებლობამდე. გვარდია აქ მართლაც მოწესრიგდა, გასწორდა და მთავარსარდლის ხელში აღმოჩნდა ერთგვარი ძალა. სურამის გადასასვლელზე პოზიციებს ამაგრებდნენ, ჩვენი მდგომარეობა აღმოჩნდა იმდენად სასურველად მტკიცე და მოღონიერებული, რომ გენ. კვინიტაძემ გადაწყვიტა დაესაჯა შორს მომწყდარი მტერი – გადასწყვიტა გადასულიყო შეტავაზე. შექმნილი პირობების მიხედვით, შესაძლებელი იყო მტრის წინამავლის შემოხლართვა და ტომარაში ჩაგდება; სულიერად შემაგრებულმა საარმიო ნაწილებმა მიიღეს ჯარების შნო და ამბობენ გულ-და-გულ, წავიდნენ შეტევაზე. კიდეც შემოხლართეს რუსების მარცხენა ფრთა, მაგრამ გადამწყვეტ წუთში, კედაროს შუა-წელში გაწყობილმა გვარდიის ათასეულმა, ჯერ ბრძოლაც არ დაეწყოთ, ისე დააგდეს თავისი ადგილები, გაიქცნენ სურამის გადმოსავლებზე. ამის შემდეგ აუცილებელი შეიქმნა მთელის ჯარის დახევა.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

აქტიური მოქალაქეობისთვის ასაკი უმნიშვნელოა

აქტიურ მოქალაქედ რომ ჩამოყალიბდე,პირველ რიგში,მნიშვნელოვანია სასკოლო განათლება და ამ მხრივ, ძალიან გამიმართლა. ასევე მნიშვნელოვანია კლასგარეშე ლიტერატურის გაცნობა და სხვადასხვა პროექტებში ჩართვა, რაც საბოლოო ჯამში, დიდ გამოცდილებას სძენს ადამიანს.

ცნება მოქალაქეობა პირველად ძველი საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფო ათენში გაჩნდა და აღნიშნავდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას. ძველ საბერძნეთში მოქალაქეები კანონის წინაშე თანასწორები იყვნენ, მაგრამ აქ იყო ერთი მაგრამ: მოქალაქის სტატუსი მხოლოდ ადგილობრივ, გარკვეული სოციალური ფენის მამაკაცებს ენიჭებოდათ, ქალები,უცხოელები და მონები ამ სტატუსს არ ფლობდნენ, შესაბამისად, ისინი არც მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ საქმეებში.

მოქალაქეობის ცნება გაუფასურდა ფეოდალურ საზოგადოებაში, განსაკუთრებით, მონარქიის პირობებში,სადაც ძალაუფლებას ფლობდა მონარქი, ადამიანები კი მისი ქვეშევრდომები იყვნენ.

თანამედროვე გაგებით, მოქალაქეობის ცნების ჩამოყალიბება უკავშირდება, XVII- XVII საუკუნეების ინგლისის და საფრანგეთის რევოლუციებს, როდესაც აბსოლუტური მონარქია დაემხო.

თანამედროვე გაგებით, მოქალაქე ერთი კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეობის მქონე პირია, განურჩევლად ეთნიკური წარმოშობისა, რასისა, სქესის, ან რელიგიური კუთვნილებისა. აქტიური მოქალაქე კი არის ადამიანი, რომელიც საზოგადოებაში თავის როლს კარგად აცნობიერებს და უნდა სამყარო უკეთესობისკენ შეცვალოს. ის, პირველ რიგში, კარგად იცნობს კანონს, იცის საკუთარი უფლებები და პატივს სცემს გარშემო მყოფთა უფლებებს. აქტიურ მოქალაქეს სწამს, რომ თითოეულ ადამიანს შეუძლია, სიტუაციის უკეთესობისკენ შეცვლა და ამისთვის ძალისხმევას არ იშურებს.

სამოქალაქო საზოგადოებების ჩამოყალიბება, მე-19 საუკუნის ამერიკის შეერთებულ შტატებს უკავშირდება, სადაც დემოკრატიული პროცესები მიმდინარეობდა ასოციაციების შექმნასთან ერთად. სამოქალაქო საზოგადოება უკავშირდება არასამთავრობო ორგანიზაციებს,სხვადასხვა ჯგუფებს, რომლებიც მთავრობისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ და ხელს უწყობენ პროცესების დემოკრატიულად განვითარებას. მე-19 საუკუნის საქართველოში, პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება იყო და მისი მთავარი მიზანი, ადამიანებში განათლების შეტანა იყო.

ტოტალიტარიზმი და ავტორიტარიზმი სამოქალაქო საზოგადოებისთვის შეუთავსებელია. ასევე შეუთავსებელია განსხვავებული ადამიანების, უმცირესობების უფლებების დარღვევა.

სამოქალაქო საზოგადოების წევრები, სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებთან შედარებით, პრიორიტეტს, საზოგადოებას ანიჭებენ და ყოველთვის საუბრობენ იმაზე, რომ სახელმწიფოს ვალდებულება ხალხზე და საზოგადოებაზე ზრუნვაა. სამოქალაქო საზოგადოებები სახელმწიფოს წინაშე ხშირად გამოდიან მოთხოვნებით და ასაბუთებენ ამ მოთხოვნების აუცილებლობას.

საქართველომ პირველი კონსტიტუცია 1921 წელს მიიღო, თუმცა საქართველოს გასაბჭოების გამო,მან ამოქმედება ვერ მოახერხა. ამჟამად, გვაქვს კონსტიტუცია, რომელიც პარლამენტმა1995 წლის 24 აგვისტოს მიიღო და ემყარება 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს.

დემოკრატიული ქვეყნის მთავარი მახასიათებელი თანასწორობაა, საზოგადოება აქტიურად უნდა იყოს ჩართული და მონაწილეობდეს პოლიტიკურ პროცესებში.

არსებობს პირდაპირი და წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფორმები. პირდაპირი დემოკრატიის დროს, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება ხდება პირდაპირი წესით მოქალაქეთა მთელი ერთობლიობის მიერ, წარმომადგენლობითი ფორმის დროს,ხალხის უფლება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე ხორციელდება არა უშუალოდ, არამედ მის მიერ არჩეული და მის წინაშე ანგარიშვალდებული წარმომადგენლების მეშვეობით.

მოქალაქის მორალური ვალდებულებაა, მაქსიმალურად გამოიყენოს კონსტიტუციით და კანონით მინიჭებული შესაძლებლობები და აქტიურად ჩაერთოს სახელმწიფოს, ან თუნდაც საკუთარი ქალაქის ან მუნიციპალიტეტის მართვაში.

18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქეები მონაწილეობენ რეფერენდუმსა და პლებისციტში. საქართველოს კონსტიტუცია მოქალაქეებს - არანაკლებ 25 ათას ამომრჩეველს - საშუალებას აძლევს, პარლამენტში წარადგინონ კანონპროექტი, რომელსაც იხილავს პარლამენტი, მოქალაქეებს აქვთ უფლება საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებითაც მიმართონ. დემოკრატიული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია თავისუფალი და საყოველთაო არჩევნები. არჩევნებში მონაწილეობით კი მოქალაქეები საკუთარ არჩევანს აფიქსირებენ და წვლილი შეაქვთ დემოკრატიის განვითარებაში. არსებობს გადაწყვეტილებების დაფიქსირების და ჩართულობის სხვა გზებიც: დასახლების საერთო კრებები,პეტიცია,სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, გენდერული თანასწორობის საბჭო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა, თანამონაწილეობითი ბიუჯეტი, სადაც მოქალაქეები პრიორიტეტულ პროექტებს უჭერენ მხარს, მუნიციპალიტეტის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

შესაძლებელია,მოქალაქეებმა წინადადებები,სხვადასხვა სტრუქტურებში ოფიციალური წერილების სახით დააფიქსირონ, მატერიალურად ან ელექტრონული სახით.

პოლიტიკურ მიმართულებებში მონაწილეობის მისაღებად, როგორც უკვე აღვნიშნე,ზოგ შემთხვევაში,აუცილებელია,მოქალაქე სრულწლოვანი იყოს. თუმცა,არასრულწლოვან მოქალაქეებსაც შეგვიძლია,მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანოთ ქვეყნის განვითარებაში.

დასახლებების საერთო კრებებში მონაწილეობა ამისი ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია, მართალია ამ დროს 18 წლამდე პირების მოსაზრებების ოფიციალური დაფიქსირება არ ხდება, თუმცა, შეკრებისას, თავისუფლად შეგვიძლია ჩვენი აზრი გამოვხატოთ და დასახლებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები წამოვჭრათ. ასევე შეგვიძლია ორგანიზაციების ცხელ ხაზზე დარეკვა და ნებისმიერი ინფორმაციის მოძიება.

კომუნიკაციისთვის და აზრთა გაცვლა-გამოცვლისთვის შეუცვლელია თანამედროვე სოციალური სისტემები. ფეისბუქ გვერდებს აქვთ კომუნიკაციის ძალიან ეფექტური საშუალებები. აქ შეგვიძლია ჩვენი მოსაზრებები დავაფიქსიროთ როგორც გამოქვეყნებული პოსტების კომენტარებში, ასევე, შეგვიძლია მოსაზრებები დავწეროთ პირად შეტყობინებებში.

მუნიციპალიტეტების თუ სხვადასხვა უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომლები, ცდილობენ ოპერატიულად მოიძიონ, მოქალაქეთა შეკითხვებზე პასუხები და ინფორმაცია მიაწოდონ, ან მათი პრობლემების შესახებ აცნობონ შესაბამის სამსახურებს და შესაძლებლობის ფარგლებში, პრობლემები მოუგვარონ.

ორგანიზაციებთან კომუნიკაციის მჭიდრო საშუალებას იძლევა ვებ- გვერდებიც, სადაც არის მოქალაქეებთან კომუნიკაციის ველები, მაგალითად „შენი იდეა მერს,“ „შექმენი პეტიცია“, „დააფიქსირე მომხდარი“.

პანდემიის პერიოდში, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სოციალური ქსელებით კომუნიკაციამ, ადამიანები ითხოვდნენ გადაადგილებას, საკვებს, მედიკამენტებს და საჯარო უწყებები ცდილობდნენ ეს პრობლემები მოეგვარებინათ.

აქტიური იყო სოციალური ქსელები წლევანდელი დიდთოვლობის პერიოდშიც, როდესაც სოფლის მცხოვრებლებს გადაადგილების პრობლემა ჰქონდათ და გზების გაწმენდას ითხოვდნენ.

მოქალაქეების პასიურობა, სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანიზაციების პასიურობასაც იწვევს, რადგან ყველა ქმედებას თავისი შედეგი მოჰყვება, თუ სახელმწიფო, ან მუნიციპალური ორგანო ამა თუ იმ პროექტს, ვადის ფარგლებში და სრულყოფილად ახორციელებს, სამოქალაქო საზოგადოება კმაყოფილებას გამოხატავს და ორგანიზაციასაც მეტი სტიმული ეძლევა სამომავლო აქტივობებისთვის. მაგრამ არის ერთი მაგრამ,ჩვენს სამოქალაქო საზოგადოებას ჯერ კიდევ აკლია მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განცდა, პოლიტიკურ პროცესებში და გადაწყვეტილებებში ჩართვა,არ გვათავისუფლებს ისეთი ვალდებულებებისგან, როგორიცაა, გარემოზე და სისუფთავეზე ზრუნვა. მიუხედავად იმისა,რომ ჩვენს ქალაქში დასუფთავების სამსახური ძალიან კარგად მუშაობს, ხშირად წააწყდებით საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან დაბინძურებულ გარემოს, ხშირად ნახავთ ახლად მოწყობილ სკვერებში დაზიანებულ სკამებს, ილუმინაციებს, გადაყირავებულ ნაგვის urnებს. ასევე ადამიანებს აღიზიანებთ ისეთი პროექტების განხორციელება, რაც უშუალოდ მათ არ ეხება, მაგალითად, გვერდით სოფელში, ან უბანში მიმდინარე საგზაო ინფრასტრუქტურა, მოწყობილი მინი- სტადიონი, ან საბავშვო ატრაქციონების სკვერი. ხშირად ასეთ რამეებზე,განსაკუთრებით, სოციალური ქსელების მეშვეობით, ღიად გამოხატავენ უკმაყოფილებას და ვერ აცნობიერებენ, რომ ყველაფრის ერთად კეთება, უბრალოდ შეუძლებელია და რაც გვაქვს, იმას თუ არ გავუფრთხილდებით, უფრო მეტი იქნება საკეთებელი, რაც, საბოლოო ჯამში, როგორც საბიუჯეტო ორგანიზაციებს, ასევე, სამოქალაქო საზოგადოებას დააზარალებს.

ამდენად, განათლების დონის ამაღლება და სოციალური პასუხისმგებლობის გააზრება, როგორც სრულწლოვანი, ასევე არასრულწლოვანი მოქალაქეებისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია,რათა სამომავლოდ წვლილი შევიტანოთ ჩვენი ქვეყნის მეტად განვითარებაში და გარე საზოგადოებასაც დავანახოთ ის სიკეთეები, რაც რეალურად გაგვაჩნია.

მაშო იორდამოვი,
ილია ჭავჭავაძის სახელობის ხაშურის №3 საჯარო
სკოლის VIII კლასის მოსწავლე

ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორიული ღირსშესანიშნაობები. სურამის ციხე. მე-19 საუკუნის შუა წლების ფოტო.

ინტელექტუალური ასპარეზობა „ბიგ რაუნდი“, რომელშიც ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეები მონაწილეობენ, ორწლიანი პაუზის შემდეგ განახლდა

ხაშურის მე-3 საჯარო სკოლაში "ბიგ რაუნდის" პირველი ტური გაიმართა. შეჯიბრში, წელს, მუნიციპალიტეტის 26 სკოლის ინტელექტუალთა გუნდები მონაწილეობენ.

პირველ ტურში ასპარეზობას სამი სკოლა გამოეთიშა.

"ბიგ რაუნდი" ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ხაშურის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის ჩართულობით და მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით მიმდინარეობს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.